

## განმარტებითი ბარათი

### სიღნაღის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის პროექტის შესახებ

პროექტის ინიციატორი – მუნიციპალიტეტის გამგეობა

პროექტის ავტორი – საფინანსო, საბიუჯეტო, ჯანდაცვის და სოციალურ საკითხთა სამსახური

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ.

ბ) პროექტის მიღების მიზეზები.

საქართველოს კონსტიტუციით, ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ საქართველოს ორგანული კანონით და საბიუჯეტო კოდექსით დაკისრებული ვალდებულება.

გ) პროექტის მიზანი

2017 წლის სიღნაღის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური ნუსხის დამტკიცება.

### შ ე ს ა ვ ა ლ ი

საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების 2017 წლის ბიუჯეტების პროექტების შედგენა, განხილვა, დამტკიცება და შესრულება ხორციელდება „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის, „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“, საქართველოს კანონების, საქართველოს სხვა კანონებისა და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების, საფინანსო-საბიუჯეტო საკითხებზე საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებების შესაბამისად.

# წარმოგიდგენთ 2017 წლის სიღნაღის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობების პროექტს

## საშემოსავლო გადასახადი

2016 წლიდან მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლებს დაემატა რამდენიმე სახის საშემოსავლო გადასახადი: მეწარმე ფიზიკურ პირთა საქმიანობით მიღებული შემოსავლებიდან, ფიზიკური პირის მიერ ქონების იჯარით გაცემის შედეგად მიღებული შემოსავლებიდან და ფიზიკური პირის მიერ მატერიალური აქტივების რეალიზაციით მიღებული ნამეტიდან. აღნიშნული გადასახადების კუთხით სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავალმა დღეისათვის შეადგინა 428,7 ათასი ლარი. აღნიშნულიდან გამომდინარე საშემოსავლო გადასახადი უნდა დაიგეგმოს 550.0 ათასი ლარით. (დანართი № 1 )

## საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა) გადასახადი

სიღნაღის მუნიციპალიტეტში არსებული ორგანიზაციების ქონების ნარჩენი საბალანსო ღირებულება რომელიც გამოიყენება ეკონომიკური საქმიანობისათვის შეადგენს 20907.1 ათას ლარს. საგადასახადო კოდექსის მიხედვით დაუბეგრავი უძრავი ქონება სიღნაღის მუნიციპალიტეტში არ არსებობს. აღნიშნულიდან გამომდინარე საწარმოთა ქონების გადასახადი უნდა დაიგეგმოს 250,0 ათასი ლარით 2016 წლის ბიუჯეტით აღნიშნული გადასახადის კუთხით დაგეგმილი იყო 200.0 ათასი ლარი, ხოლო 11 თვის ფაქტიურმა შემოსავალმა შეადგინა 376.9 ათასი ლარი ზ/აღნიშნულის გათვალისწინებით გათვავზოთ საწარმოთა ქონების (გარდა მიწისა) გადასახადის კუთხით შემოსულობებში დაიგეგმოს 420.0 ათასი ლარი. (დანართი № 2)

## ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა) გადასახადი

ფიზიკურ პირთა ეკონომიკური საქმიანობისათვის გამოყენებული ქონების ღირებულება განსაზღვრული საგადასახადო კოდექსის 211-ე მუხლის შესაბამისად გაანგარიშებული აქტივების ღირებულებისა და 183-ე მუხლის მე-3 ნაწილში მოცემული ამორტიზაციის მიხედვით შეადგენს 668.7 ათას ლარს. აღნიშნულიდან გამომდინარე ფიზიკურ პირთა ქონების (გარდა მიწისა) გადასახადი უნდა დაიგეგმოს 3.0 ათასი ლარით. ცნობისათვის 2016 წელს აღნიშნული შემოსულობების კუთხით დაგეგმილი იყო 5,0 ათასი ლარი, ხოლო 10 თვეში შემოსავალი არ არის . (დანართი № 3 )

## მიწაზე ქონების გადასახადი

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საერთო ფართობი შეადგენს 79907,2 ჰექტარს. აქედან სახნავი და მრავალწლიანი ნარგავებით დაკავებული ფართობი შეადგენს 23745.6 ჰექტარს, საძოვარი შეადგენს 56161.6 ჰექტარს, საგადასახადო კოდექსის 275-ე მუხლის მე-19 ნაწილით განსაზღვრული მიწის დანარჩენი ფართობი რომელიც თავისუფლდება მიწის გადასახადისაგან შეადგენს 7396 ჰექტარს. დასაბეგრი მიწის ფართობი შეადგენს 72511,2 ჰექტარს. აღნიშნულ ფართობზე შესაბამისი გადასახადების დარიცხვით სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ქონების გადასახადმა შეადგინა 2304651.2 ლარი.

არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების საერთო ფართობი შეადგენს 131 ჰექტარს. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ქონების გადასახადმა შეადგინა 78325 ლარი.

2016 წლის ბიუჯეტით მიწაზე ქონების გადასახადი დაიგეგმა 1595.0 ათასი ლარით. აქედან სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი დაიგეგმა 1575.0 ათასი ლარით, ხოლო არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი დაიგეგმა 20,0 ათასი ლარით. 2016 წლის 11 თვეში მიწაზე ქონების გადასახადის ფაქტიურმა შემოსავალმა შეადგინა 429.6 ათასი ლარი. აქედან სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადმა შეადგინა 415,0 ათასი ლარი, ხოლო არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადმა შეადგინა 14,6 ათასი ლარი. გთავაზობთ მიწაზე ქონების გადასახადი 2017 წლის ბიუჯეტით დაიგეგმოს 2147,0 ათასი ლარით. აქედან სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი დაიგეგმოს 2127,0 ათასი ლარით. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი დაიგეგმოს 20.0 ათასი ლარით. (დანართი №4)

**სულ გადასახადების კუთხით დაიგეგმოს 3120.0 ათასი ლარი**

## გრანტები

### შემოსულობები ფინანსური დახმარებიდან

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 77-ე მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, „საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით სიღნაღის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ტრანსფერი განისაზღვრა 2614,2 ათასი ლარით, მათ შორის: გათანაბრებითი ტრანსფერი 2292,1 ათასი ლარი, მიზნობრივი ტრანსფერი 145.0 ათასი ლარი.

სულ გრანტების კუთხით დაიგეგმოს 2437,1 ათასი ლარი.(დანართი №5)

## სხვა შემოსავლები

### შემოსავალი პროცენტებიდან

შემოსავალი პროცენტებიდან 2016 წლის 11 თვეში მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 125,9 ათასი ლარი, გთავაზობთ აღნიშნული შემოსავალის დაგეგმვას 100.0 ათასი ლარით.

სულ შემოსავალი პროცენტებიდან დაიგეგმოს 100.0 ათასი ლარით.

### მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის

ბუნებრივი რესურსების სარგებლობისათვის მოსაკრებელი დაგეგმილი იყო 2016 წლის ბიუჯეტით 11,9 ათასი ლარი, ფაქტიურად 11 თვეში შემოვიდა 21,5 ათასი ლარი. გთავაზობთ, აღნიშნული მოსაკრებელი 2017 წლის ბიუჯეტის შემოსულობებში დაიგეგმოს 18,0 ათასი ლარით. (დანართი №1 ).

### შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან

აღნიშნული მოსაკრებლის კუთხით, გთავაზობთ 2017 წელს დაიგეგმოს 21,0 ათასი ლარი. (დანართი №1).

### სანებართვო მოსაკრებელი

აღნიშნული მოსაკრებლის კუთხით 2016 წლის ბიუჯეტით დაგეგმილი იყო 10,0 ათასი ლარი, ხოლო 11 თვის ფაქტიურმა შემოსავალმა შეადგინა 31,1 ათასი ლარი. გთავაზობთ მშენებლობის სანებართვო მოსაკრებელი დაიგეგმოს 20.0 ათასი ლარით. (დანართი №1 )

### სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი

სიღნაღის მუნიციპალიტეტში სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევის აღრიცხვაზე აყვანილ წვევამდელთა რაოდენობაა 1391. სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევას ექვემდებარება 632. სხვადასხვა მიზეზით გადავადებას (განთავისუფლებას) ექვემდებარება 223. აქედან მოსაკრებელს გადაიხდის 3 წვევამდელი. სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების ყოველწლიური მოსაკრებელი „სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებლის

შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად შეადგენს 2.0 ათას ლარს, „შემოსულობების ბიუჯეტებს შორის განაწილების შესახებ” საქართველოს კანონის თანახმად საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში ჩაირიცხება მოსაკრებლის 90%, ხოლო ადგილობრივ ბიუჯეტში – 10%. აღნიშნულიდან გამომდინარე სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი გთავაზობთ დაიგეგმოს 0.6 ათასი ლარის ოდენობით. (დანართი № )

## **მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისთვის**

სიღნაღის მუნიციპალიტეტში ქ. სიღნაღს, ქ. წნორს და სოფ. საქობოს ტერიტორიის დასუფთავებაზე და ნაგვის გატანაზე ემსახურება კომუნალური გაერთიანება, აღნიშნული მოსაკრებლის სახით განსაზღვრულია ერთ სულ მოსახლეზე 40 თეთრის ოდენობით. თუ გავითვალისწინებთ მოსახლეობის და საწარმოების რაოდენობას აღნიშნული გადასახადის კუთხით ბიუჯეტის შემოსულობებში გთავაზობთ 30,0 ათასი ლარის დაგეგმვას.

## **შემოსავლები მომსახურების გაწევიდან**

აღნიშნულ შემოსავლებში გაერთიანებულია მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობებისა და ნაგებობების იჯარაში ან მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა ) გადაცემიდან მიღებული შემოსავალი და შემოსავალი სხვა არაკლასიფიცირებული მომსახურებიდან. მ/წლის 11 თვის ბიუჯეტში მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 54,5 ათასი ლარი. აღნიშნულის გათვალისწინებით, გთავაზობთ 2017 წლის ბიუჯეტში დაიგეგმოს 30,0 ათასი ლარი. (დანართი № 1 )

## **შემოსავალი სანქციებიდან**

სხვადასხვა სახის ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო დარიცხული სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები), 2016 წლის 11 თვეში შემოსულია 149,7 ათასი ლარი. მიზანშეწონილად მიგვაჩნია აღნიშნულ მუხლში შემოსავლები დაიგეგმოს 150.0 ათასი ლარით.)

სულ შემოსავალი ჯარიმები, სანქციებიდან და საურავებიდან გთავაზობთ დაიგეგმოს 150.0 ათასი ლარით. (დანართი №1 )

სულ შემოსავლები დაიგეგმოს 5926,7 ათასი ლარით.

### არაფინანსური აქტივების კლება

აღნიშნული შემოსულობების კუთხით გთავაზობთ 2017 წლის ბიუჯეტში დაიგეგმოს 160,0 ათასი ლარი. მათ შორის:

- ძირითადი აქტივების რეალიზაციიდან 100.5 ათასი ლარი. (ფაქტიურად 10 თვეში შემოვიდა 12,1 ათასი ლარი.)
- მიწის რეალიზაციიდან 59.5 ათასი ლარი. (ფაქტიურად 11 თვეში შემოვიდა 160,4 ათასი ლარი.)

სულ არაფინანსური აქტივების კლების კუთხით დაიგეგმოს 160.0 ათასი ლარი. (დანართი №6)

სულ შემოსულობები დაიგეგმოს 6086,7 ათასი ლარით.

წარმოგიდგენთ 2017 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით დასაგეგმი გადასახდელების პროექტს

### სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულო

მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება დაიგეგმოს 375.0 ათასი ლარით.

შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება დაიგეგმოს 46,2 ათასი ლარით.

მივლინებები დაიგეგმოს 2.0 ათასი ლარით.

ოფისის ხარჯები 18,0 ათასი ლარით.

მათ შორის:

- საწერ-სახაზავი ქაღალდის და სხვა ანალოგიური საქონლის შეძენა 1,5 ათასი ლარით,
- ნორმატიული აქტების, საცნობარო და სპეციალური ლიტერატურის ჟურნალ-გაზეთების შეძენა და ამავე მიზნებთან დაკავშირებული საგამომცემლო-სასტამბო ხარჯები 3.0 ათასი ლარი,
- კომპიუტერული ტექნიკის შეძენა 1,0 ათასი ლარი
- კარტრიჯების შეძენა და დატუმბვა 1.0 ათასი ლარი
- ოფისისთვის სანიტარული საგნებისა და საჭირო მასალების შეძენის ხარჯი 0.5 ათასი ლარი
- კავშირგაბმულობის ხარჯები 10,0 ათასი ლარი, მ.შ.

სატელეფონო და ინტერნეტით მომსახურების ხარჯი 8,2 ათასი ლარი.  
მობილური ოპერატორების მომსახურება 1,8 ათასი ლარი.  
–საფოსტო მომსახურება 1.0 ათასი ლარი.  
– წარმომადგენლობითი ხარჯები 5,0 ათასი ლარი.

ტრანსპორტის შენახვისა და ექსპლუატაციის ხარჯები დაიგეგმოს 25.5 ათასი ლარით.

მათ შორის:

- საწვავის შესაძენად 23.0 ათასი ლარი.
- მიმდინარე რემონტის ხარჯები 0.5 ათასი ლარი.
- სათადარიგო ნაწილების შეძენა 2.0 ათასი ლარი.

სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება 77.4 ათასი ლარი (71,5 ათასი ლარი გათვალისწინებულია საკრებულოს წევრთა ხარჯებისათვის, 4.0 ათასი ლარი გათვალისწინებულია კადრების მომზადება-გადამზადებისთვის, 1,9 ათასი - სხვა გაუთვალისწინებელი ხარჯებისათვის).

სოციალური უზრუნველყოფის ხარჯები დაიგეგმოს 2.0 ათასი ლარით.  
სხვადასხვა ხარჯები დაიგეგმოს 0,5 ათასი ლარით.

**სულ სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ხარჯები დაიგეგმოს 551,6 ათასი ლარით.**

## **სიღნაღის მუნიციპალიტეტის გამგეობა**

მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება დაიგეგმოს 850.0 ათასი ლარით.  
შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება დაიგეგმოს 47,6 ათასი ლარით.  
მივლინებები დაიგეგმოს 13.0 ათასი ლარით.  
ოფისის ხარჯები 156,4 ათასი ლარით.

მათ შორის:

- საწერ-სახაზავი ქაღალდის და სხვა ანალოგიური საქონლის შეძენა 8.5 ათასი ლარით,
- კომპიუტერული პროგრამების შეძენის ხარჯი 4.0 ათასი ლარი,
- კომპიუტერული ტექნიკის შეძენა 2.0 ათასი ლარი
- კარტრიჯების შეძენა და დატუმბვა 2.0 ათასი ლარი
- გამათბობელი და გამაგრილებელი ტექნიკის შეძენა 0,8 ათასი ლარი
- საოფისე ავეჯის შეძენა 3.0 ათასი ლარი
- ოფისისთვის სანიტარული საგნების და საჭირო მასალების შეძენა 1.0 ლარი ლარი
- რეცხვის, ქიმწმენდის და სანიტარული საგნების შეძენის ხარჯი 1.5 ათასი ლარი

– შენობა-ნაგებობის და მათი მიმდებარე ტერიტორიის მიმდინარე რემონტის ხარჯი 28.0 ათასი ლარი

– კავშირგაბმულობის ხარჯები 40,0 ათასი ლარი, მ.შ.

სატელეფონო და ინტერნეტით მომსახურება 31,3 ათასი ლარი

მობილური ოპერატორების მომსახურება 8.7 ათასი ლარი

-საფოსტო მომსახურება 2,0 ათასი ლარი,

-ელექტროენერჯის ხარჯები 25,0 ათასი ლარი

-წყლის ხარჯი 32,9 ათასი ლარი

-ბუნებრივი და თხევადი აირის ხარჯი 11,0 ათასი ლარი

წარმომადგენლობითი ხარჯები 20.0 ათასი ლარი

ტრანსპორტის შენახვისა და ექსპლუატაციის ხარჯები დაიგეგმოს 127,9 ათასი ლარით.

მათ შორის:

– საწვავის შესაძენად 91,9 ათასი ლარი.

– მიმდინარე რემონტის ხარჯები 26,0 ათასი ლარი

– სათადარიგო ნაწილების შეძენა 10,0 ათასი ლარი

სხვა დანარჩენი საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული დანარჩენი ხარჯი 73,6 ათასი ლარი, აქედან 9.0 ათასი ლარი გათვალისწინებულია კადრების მომზადება-გადამზადებისთვის, ადმინისტრაციული შენობის დაცვის ხარჯი 38.0 ათასი ლარი, სხვა დანარჩენი მიმდინარე ხარჯი – 22,6 ათასი ლარი, 4,0 ათასი ლარი აუდიტორული მომსახურების.

სოციალური უზრუნველყოფის ხარჯები დაიგეგმოს 3.0 ათასი ლარით  
სხვა ხარჯები 5,0 ათასი ლარი.

არაფინანსური აქტივების ზრდა დაიგეგმოს 15,0 ათასი ლარით,

**სულ სიღნაღის მუნიციპალიტეტის გამგეობის ხარჯები დაიგეგმოს 1311,5 ათასი ლარით. (დანართი №7,8,9)**

**სარეზერვო ფონდი**

**სარეზერვო ფონდი დაიგეგმოს 52.0 ათასი ლარით.**

**შესყიდვებთან დაკავშირებული ხარჯები დაიგეგმოს 5.0 ათასი ლარით**

რეგიონალური განვითარების ფონდი

სუბსიდიების მუხლი განისაზღვროს 5.0 ათასი ლარით.

წინა პერიოდში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფის ხარჯები დაიგეგმოს 276.0 ათასი ლარით მუნიციპალური განვითარების ფონდიდან აღებული სესხის დასაფარად, მათ შორის: ექსკავატორ-მტვირთავის ღირებულება 17,2 ათასი ლარი და ბოდბე- ბოხორის გზის რეაბილიტაციის ღირებულების თანადაფინანსება 256,4 ათასი ლარი. (დანართი№10)

**ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამღლების ხელშეწყობა**

მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება დაიგეგმოს 78,0 ათასი ლარით.

ოფისის ხარჯები დაიგეგმოს 3,2 ათასი ლარით. მათ შორის :

– საწერ-სახაზავი ქაღალდის და სხვა ანალოგიური საქონლის შეძენა 1.0 ათასი ლარი,

კავშირგაბმულობის ხარჯები 0.6 ათასი ლარი

საფოსტო მომსახურების ხარჯი 0.7 ათასი ლარი.

ელექტროენერჯის ხარჯი 0.2 ათასი ლარი.

გათბობის მიზნით მიზნით საწვავისა და ნედლეულის შეძენის ხარჯი 0.7 ათასი ლარი.

სამედიცინო ხარჯები დაიგეგმოს 3,0 ათასი ლარით

ტრანსპორტის შენახვისა და ექსპლუატაციის ხარჯები დაიგეგმოს 6.6 ათასი ლარით. მათ შორის:

– საწვავის შესაძენად 5.1 ათასი ლარი.

– მიმდინარე რემონტის ხარჯი 0.5 ათასი ლარი.

– სათადარიგო ნაწილების შეძენის ხარჯი 1.0 ათასი ლარი.

სხვა დანარჩენი საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული დანარჩენი ხარჯი 4,2 ათასი ლარი

**სულ, სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის ხარჯები დაიგეგმოს 95.0 ათასი ლარით.**

## **გზების, მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები**

სხვა დანარჩენი საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული ხარჯების მუხლი განისაზღვროს 30.0 ათასი ლარით, აღნიშნული თანხა გათვალისწინებულია ქ. სიღნაღის და წნორის გზების მოვლა-შენახვაზე,

**სულ გზების, მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და მოვლა-შენახვის ხარჯების დაგეგმვას გთავაზობთ 30.0 ათასი ლარით. (დანართი №11)**

## **მუნიციპალური ტრანსპორტის ხელშეწყობის ღონისძიებები**

სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების ხარჯი დაიგეგმოს 6.0 ათასი ლარით. აღნიშნული თანხა გათვალისწინებულია: ილიაწმინდა – წნორი (არქიმედეს კლინიკა) მარშრუტის მომსახურებაზე 4,0 ათასი ლარი, და ერისიმედი - წნორი მარშრუტის მომსახურებაზე 2,0 ათასი ლარი.

**სულ მუნიციპალური ტრანსპორტის ხელშეწყობის ხარჯები დაიგეგმოს 6.0 ათასი ლარით. (დანართი №12)**

## **წყლის სისტემების რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია**

საქონელი და მომსახურების მუხლი განისაზღვროს 325,0 ათასი ლარით. მ. შ: წყალმომარაგების სისტემების მომსახურება – 325,0 ათასი ლარი, ელექტროენერჯის ხარჯი 3,0 ათასი ლარი

**სულ წყლის სისტემების რეაბილიტაციის და ექსპლოატაციის ხარჯები დაიგეგმოს 328,0 ათასი ლარით. (დანართი № 13 )**

## **ბინათმშენებლობა**

სხვა ხარჯები განისაზღვროს 60,0 ათასი ლარით, აღნიშნული თანხა გათვალისწინებულია ქ. სიღნაღში ორმილის დასახლების და ხირსის საცხოვრებელი კორპუსების სახურავების რეაბილიტაციაზე.

**სულ, ბინათმშენებლობის ხარჯები განისაზღვროს 60,0 ათასი ლარით**

## **გარე განათების რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია**

საქონელი და მომსახურების ხარჯები განისაზღვროს 252,3 ათასი ლარით. მ. შ: გარე განათების ქსელის მომსახურება - 72,3 ათასი ლარით, ელ. ენერჯის ღირებულება - 180,0 ათასი ლარით.

სულ, გარე განათების რეაბილიტაციის და ექსპლოატაციის ხარჯები დაიგეგმოს 252,3 ათასი ლარით. (დანართი №14)

## **საკანალიზაციო და წყალსადინარების სისტემების მოვლა შენახვის ღონისძიებები**

სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების ხარჯი დაგეგმილია 20,0 ათასი ლარით, აღნიშნული თანხა გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სანიაღვრე სისტემების მომსახურებისთვის ჩასატარებელი სამუშაოებისთვის.

სულ, საკანალიზაციო და წყალსადინარების სისტემების მოწყობა-რეაბილიტაციის ღონისძიებების ხარჯები განისაზღვროს 20,0 ათასი ლარით. (დანართი № 15 )

## **დასუფთავების ღონისძიებები**

დასუფთავების ღონისძიებების სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების ხარჯების დაგეგმვას გთავაზობთ 328,0 ათასი ლარით, საიდანაც 296,0 ათასი ლარი გათვალისწინებულია ქ. სიღნაღის, ქ. წნორის, სოფელ საქობოს ძირითადი ნაწილის და სხვა დასახლებული პუნქტების დასუფთავების მომსახურებაზე, 32,0 ათასი ლარი კი ადმინისტრაციული შენობის დასუფთავებაზე.

სულ დასუფთავების ღონისძიებების ხარჯები განისაზღვროს 328,0 ათასი ლარით (დანართი №16 )

## **სასაფლაოების მოვლა-პატრონობა**

სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების ხარჯები დაიგეგმოს 21,0 ათასი ლარით.

არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი განისაზღვროს 130,0 ათასი ლარით, აღნიშნული თანხა გათვალისწინებულია სოფ. ვაქირის სასაფლაოების შემოღობვის სამუშაოებზე.

სულ სასაფლაოების მოვლა-პატრონობის ხარჯები დაიგეგმოს 151,0 ათასი ლარით. (დანართი №17)

## ბაღების, სკვერების მოვლა-პატრონობა და რეაბილიტაცია

სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების ხარჯები დაიგეგმოს 18.0 ათასი ლარით.

სულ, ბაღების, სკვერების მოვლა-პატრონობის და რეაბილიტაციის ხარჯები დაიგეგმოს 18.0 ათასი ლარით. (დანართი №18)

## შადრევნების ექსპლუატაცია

სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების ხარჯების დაგეგმვას გთავაზობთ 6,3 ათასი ლარით. (შადრევნების მოვლა-პატრონობა).

სულ, შადრევნების ექსპლუატაციის ხარჯები დაიგეგმოს 6,3 ათასი ლარით. (დანართი №19)

## სკოლამდელი განათლების დაფინანსება

ა(ა)იპ "სიღნაღის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების" ხარჯები დაიგეგმოს 1050.0 ათასი ლარით.

მათ შორის:

სუბსიდიის მუხლი დაიგეგმოს 1050.0 ათასი ლარით, (დანართი №20)

ა(ა)იპ "სიღნაღის მუნიციპალიტეტის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის" ხარჯები დაიგეგმოს 65,0 ათასი ლარით. (დანართი №21)

ა(ა)იპ „სიღნაღის მუნიციპალიტეტის სასპორტო სკოლის" ხარჯები დაიგეგმოს 180,0 ათასი ლარით.

მათ შორის:

სუბსიდიის მუხლი დაიგეგმოს 180,0 ათასი ლარით. (დანართი №22)

## სასპორტო სკოლის კაპიტალური ხარჯი

არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი განისაზღვროს 120,0 ათასი ლარით, აღნიშნული თანხა გათვალისწინებულია სოფ. მადაროში, ჯუგაანსა და ტიბაანში ხელოვნურსაფარიანი მინი სტადიონების მოწყობისთვის.

**ა(ა)იპ „სიღნაღის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანების“ ხარჯები დაიგეგმოს 205,0 ათასი ლარით.**

მათ შორის:

სუბსიდიის მუხლი განისაზღვროს 205,0 ათასი ლარით (დანართი № 23 )

## სახელოვნებო სკოლების კაპიტალური ხარჯი

არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი განისაზღვროს 30,0 ათასი ლარით, აღნიშნული თანხა გათვალისწინებულია ა(ა)იპ „სიღნაღის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანების“ შენობის სახურავის რეაბილიტაციაზე.

**ა(ა)იპ „სიღნაღის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო და საგანმანათლებლო მომსახურების ცენტრის“ ხარჯები დაიგეგმოს 225,0 ათასი ლარით. მათ შორის:**

სუბსიდიის მუხლი დაიგეგმოს 185,0 ათასი ლარით, (დანართი №24 )

არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი განისაზღვროს 40,0 ათასი ლარით, აღნიშნული თანხა გათვალისწინებულია ქ. სიღნაღში ვანო სარაჯიშვილის სახლ-მუზეუმის რეაბილიტაციაზე.

**ა(ა)იპ „სიღნაღის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ხელოვნების ცენტრის“ ხარჯები დაიგეგმოს 155,0 ათასი ლარით.**

მათ შორის:

სუბსიდიის მუხლი დაიგეგმოს 155,0 ათასი ლარით, (დანართი № 25 )

## ახალგაზრდული ღონისძიებების დაფინანსება

ახალგაზრდული ღონისძიებების დაფინანსების სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების ხარჯები განისაზღვროს 15,0 ათასი ლარით,

სულ, ახალგაზრდული ღონისძიებების დაფინანსების ხარჯები დაიგეგმოს 15,0 ათასი ლარით (დანართი № ).

## ტელერადიომუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა

სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების ხარჯი განისაზღვროს 20,0 ათასი ლარით.

## რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა

სხვა ხარჯები განისაზღვროს 10.0 ათასი ლარით.

## სოციალური და ჯანდაცვის პროგრამები

საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურების ხარჯები განისაზღვროს 50.0 ათასი ლარით.

ავადმყოფთა სოციალური დაცვის ღონისძიებები დაიგეგმოს 135,0 ათასი ლარით,

მზრუნველობამოკლებულთათვის უფასო სასადილოს ხარჯები დაიგეგმოს 117,5 ათასი ლარით, (დანართი №26)

ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვის ღონისძიებების ხარჯები დაიგეგმოს 30,0 ათასი ლარით, აღნიშნული თანხა გათვალისწინებულია ყველა ახალშობილზე,

სტიქიისა და ხანძრის შედეგად დაზარებული მოსახლეობის დახმარების ხარჯები დაიგეგმოს 30.0 ათასი ლარით,  
მათ შორის:

სოციალური უზრუნველყოფის ხარჯები 30,0 ათასი ლარი,

სხვა სოციალური ღონისძიებები დაიგეგმოს 130,5 ათასი ლარით,  
ვეტერანთა დაკრძალვის ხარჯები დაიგეგმოს 3.0 ათასი ლარით.

ტერიტორიული მთლიანობისთვის მებრძოლი ვეტერანი მეომრების ერთჯერადი დახმარება დაიგეგმოს 4.0 ათას ლარით.

ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა სოციალური დახმარების ხარჯები დაიგეგმოს 4.0 ათასი ლარით. (დანართი№27)

ინვალიდთა სოციალური დაცვის ღონისძიებების ხარჯები დაიგეგმოს 4,0 ათასი ლარით.

მარტოხელა დედების სოციალური დაცვის ღონისძიებების ხარჯები დაიგეგმოს 3.0 ათასი ლარით. (დანართი№28)

სოციალურად დაუცველი სტუდენტების დახმარების ხარჯები დაიგეგმოს 5,0 ათასი ლარით.

სოციალური ღონისძიებების ხარჯები გაიცემა საკრებულოს მიერ მიღებული წესის შესაბამისად.

სულ, მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური უზრუნველყოფის ხარჯები დაიგეგმოს 516.0 ათასი ლარით.

სულ, 2017 წლის სიღნაღის მუნიციპალიტეტის გადასახდელები დაიგეგმოს 6086,7 ათასი ლარით.

სიღნაღის მუნიციპალიტეტის გამგებელი

დავით ჯანიკაშვილი

სიღნაღის მუნიციპალიტეტის გამგეობის  
საფინანსო-საბიუჯეტო, ჯანდაცვის და  
სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსი

მალხაზ სიფრაშვილი